ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №5106753

ნომერი: AR1773580

თარიღი : 10.09.2020

გაცემის თარიღი : 17.09.2020

გაცნობის თარიღი : 22.09.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, არქანჯელო ლამბერტის ქუჩა, N 18ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ფურცხვანიძე პ/ნ 01017004573
- სარაჯიშვილის 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020

წლის 10 სექტემბერს №AR1773580 განცხადებით მომართა გიორგი ფურცხვანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.72.14.040.690), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2019 წლის 28 ივნისის №4565857 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 ივნისიდან 2021 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმაზე, ექსპლიკაციაში, საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებელი 379.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 397.2 კვ.მ. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, წარმოდგენილი და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმაზე დატანილი საცხოვრებელი ფართობების ჯამი შეადგენს 397.2 კვ.მ-ს. შესაბამისად, ამავე ნიშნულის გეგმაზე, ექსპლიკაციაში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირებულ უნდა იქნას 397.2 კვ.მ. ამასთან, აღნიშნული ცვლილებით გეგმარება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები არ იცვლება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.